ფირმის ეკონომიკა და ეკონომიკური ურთიერთობები

ამყოლაძე გ., პროფესორი, ამყოლაძე ი., მაგისტრი

საქართველო, თბილისი, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი

საქართველოს ეკონომიკა ვითარდება საბაზრო ეკონომიკის ანუ თავისუფალი ბაზრის პირობებში. 1990 წლამდე ქვეყანაში მოქმედებდა გეგმიური ეკონომიკა, ამ დროს ნებისმიერი საწარმო აწარმოებდა განსაზღვრული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის საქონელს, რაც განსაზღვრული იყო ხუთწლიანი გეგმით. ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე ყოველწლიურად ხდებოდა საწარმოს უზრუნველყოფა საჭირო რესურსებით, რაც წინასწარ იყო ცნობილი, ასევე ცნობილი იყო, ვისთვის ეწარმოებინა და როდის და რა რაოდენობის საქონელი მიეწოდებინა და რა ფასად.

1990 წლის შემდეგ, დამოუკიდებლობის მიღწევის დღიდან, ქვეყნის საწარმოებმა საქმიანობა ააწყვეს საბაზრო ურთიერთობების მეთოდების გამოყენებით. ბაზრის პირობებში სრულად შეიცვალა საქმიანობის პირობები. ძირითადი ცვლილება ეხებოდა მომხმარებლის შექმნას ანუ საწარმოს მიერ წარმოებული საქონლის გასაღებას (მომსახურების გაწევას), მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საბაზრო ურთიერთობებში საქმიანობისას საწარმოს წინაშე იდგა შემდეგი პრობლემები: ბაზრის მოთხოვნებისა და კონიუქტურის შესწავლა, მსგავსი პროდუქციის მწარმოებელი საწარმო-კონკურენტის საქონლის ხარისხის გათვალისწინება, მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების გამოკვლევა და მათი დაკმაყოფილების უზრუნველყოფა და სხვა საკითხები, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის.

ძირითადი ტექსტი

ბაზრის მარეგულირებელ კანონს წარმოადგენს მოთხოვნა-მიწოდების კანონი. საბაზრო ეკონომიკის ძირითად მახასიათებლებს მიეკუთვნება რესურსებსა და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, კონკურენტული ურთიერთობები, როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის არჩევანის თავისუფლება საბაზრო პირობებითა და ბაზრის ცვლილებებით გათვალის-წინებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა, ფასები და სხვა.

ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკის განსაზღვრა და შემდეგ დავახასიათოთ ეკონომიკისა და ფირმის ეკონომიკური ურთიერთობები.

ეკონომიკის კლასიკური განსაზღვრა მრავალსახეა, მაგრამ კლასიკურად ითვლება:

ა) ეკონომიკა ესაა შეზღუდული სიკეთის წარმოების, გაცვლისა და განაწილების პროცესში ადამიანებს შორის ურთიერთობების პროცესი;

ბ) საზოგადოების (ფირმის, ოჯახის, ქვეყნის და ა.შ.) შეზღუდული (განსაზღვრული) რესურსების რაციონალური გამოყენებით მაქსიმალური ამონაგების მიღება;

გ) ნებისმიერი საქონლის, მომსახურების შექმნაზე გაწეული ხარჯები ნაკლები უნდა იყოს მიღებულ შემოსავალზე;

დ) როდესაც ჩვენ ვიხილავთ რომელიმე დარგს, მაგ., ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და სხვა ეკონომიკას, მაშინ გათვალის-წინებული იქნება იმ ადამიანთა ურთიერთობა, რომლებიც დაკავებული არიან ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკით და ა.შ. ანდა, როდესაც ვიხილავთ ქ. თბილისის ან საქართველოს ეკონომიკას, მაშინ ის ეხება იმ ადამიანთა ურთიერთობებს, რომლებიც ცხოვრობენ ქ. თბილისში და ა.შ.;

ე) ეკონომიკის განსაზღვრა, როგორც ურთიერთობების სისტემისა, ითვალის-წინებს ფაქტობრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია განსაზღვრულ სიკეთესა ან რესურსებზე, შესაბამისად, მეცნიერებაზეც, რომელიც ამ რეალურ ურთიერთობებს იკვლევს, სწავლობს და განსაზღვრავს.

ეკონომიკური მეცნიერება მოიცავს მეცნიერებათა (საგანთა) მთელს მიმართულებებს, რომელიც სწავლობს ამ რეალურ ურთიერთობებს სხვადასხვა მიდგომიოთ. ურთიერთობათა თეორიას შეისწავლის ეკონომიკსი (მიკრო- და მაკროეკონომიკა), მართვის თეორია, მენეჯმენტის თეორია; წარმოების საკითხებს შეისწავლის საწარმოო მენეჯმენტი, წარმოების ორგანიზაციას, გასაღებასა და განაწილებას შეისწავლის მარკეტინგი, სახელმწიფო რეგულირება, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები, საგადასახადო კოდექსი; ამ ურთიერთობების აღრიცხვასა და შეფასებას სწავლობს: ბუღალტრული აღრიცხვა, ეკონომიკური მათემატიკა, სტატისტიკა და ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ასევე, ამ ურთიერთობებს სწავლობს ეთიკა და ფსიქოლოგია.

თუ შევაჯამებთ ეკონომიკის განსაზღვრას, იგი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასეთნაირად: ეკონომიკა ესაა სისტემა, რომელიც მოიცავს რეალურ ურთიერთობებს და მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ამ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა ყოველთვის და საუკუნეების მანძილზე ეკონომიკური ურთიერთობების მიზანი იყო ადამიანის დაკმაყოფილება სიკეთით, ხოლო საზოგადოებისა (ქვეყნის) - განსაზღვრული რესურსებით. ხოლო **ეკონომიკის მიზანს** კი წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების შეცნობა და ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილება სიკეთით შეზღუდული რესურსების არსებობის დროს.

თანამედროვე პირობებში საქართველოში, ისე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, არსებობს ადამიანის პირადი თავისუფლება, რითაც შესაძლებელი გახდა ეკონომიკის განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა დაფუძნებულია განსაზღვრული სიკეთის თავისუფალ გაცვლაზე.

საბაზრო ურთიერთობების პირობების და ეკონომიკის, როგორც სისტემის დახასიათებით განვიხილავთ ფირმის ეკონომიკას, საგანს, რომლის შესწავლის მიზანს

წარმოადგენს ფირმის საქმიანობის სხვადასხვა და მრავალსახა მიმართულებები, ფირმაში ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეული პრობლემები (ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვა, ფირმის თეორია, მიკროეკონომიკა, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის შედეგების, რესურსებისა და ხარჯების ფორმირება, კალკულირება, ფასის დადგენა, მოგების მიღება და ეფექტიანად გამოყენება).

ფირმა, ორგანიზაცია, საწარმო, ამხანაგობა ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტები

ფირმა უცხო სიტყვაა და იგი ინგლისურ-ამერიკული ეკონომიკური საქმიანობის გაძღოლისა და მართვის გამომხატველი ტერმინია. საქართველოში უფრო მეტად გავრცელებული იყო და დღესაც არსებობს „ორგანიზაცია“, „საწარმო“, „დაწესებულება“. ყველა ამ დასახელების სუბიექტს თავისი ეკონომიკური, სამეურნეო, საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს. თუ „დაწესებულების“ ქვეშ იგულისხმება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები, „ორგანიზაციის“ ქვეშ - როგორც სახელმწიფო, ასევე სამეურნეო. „საწარმო“ წარმოადგენდა კომერციულ-საწარმოო სამეურნეო სუბიექტს, რომელსაც მრავალდარგოვანი საქმიანობის შინაარსი ჰქონდა.

ამგვარად, საწარმო წარმოადგენდა მატერიალური სიკეთის მწარმოებელს, რასაც სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რადგანაც თვით სახელმწიფოს არსებობის ეფექტიანობა არის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური, ეს კი გამოხატავს სახელმწიფოს უცვლელ ზრუნვას, რომ მომხმარებელი საზოგადოების ყველა წევრი: ოჯახები, ბიზნესი და თვით სახელმწიფო დაკმაყოფილებული იყოს შრომით, სიკეთით და საზრუნავით.

საწარმოების როლი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია, მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებასა და საფუძველს წარმოადგენს ზრდადი მოთხოვნილებების დროულად დაკმაყოფილება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ერთეულს წარმოადგენს ფირმა (კომპანია). ფირმა და კომპანია შეესაბამება ერთმანეთს, ამის დასადასტურებლად გამოვიყენეთ ინგლისურ-რუსული ეკონომიკური ლექსიკონი, რომელიც შედგენილია თანამედროვე ინგლისური და ამერიკული სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე[1], სადაც კომპანია, ფირმა, საწარმო, საზოგადოება შეესაბამება ერთმანეთს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებულია საწარმოები და საზოგადოება, ასევე ორგანიზაცია, ხოლო ორგანიზაციულ-სამართლებრივად „ფირმა“ არაა მითითებული.

ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ფირმის ქვეშ საწარმო (ორგანიზაცია), რომელსაც გააჩნია მთელი ქონებრივი კომპლექსი, ძირითადი კაპიტალი და მას იყენებს კანონის ფარგლებში, ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად, იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელსაც აირჩევს შრომით

[1] Англо-русский экономический словарь. М., Изд. «Русский язык», с. 137-139, 296-297.

კოლექტივთან ერთად მესაკუთრე (მესაკუთრეები). ამ შემთხვევაში მას უნდა გააჩნდეს თავისი, საკუთარი, ორიგინალური საფირმო სახელწოდება, რომელიც წარმოადგენს ამ ფირმის იმიჯს, მის ცნობიერებას და ა.შ.[2]

„ფირმა (საწარმო) წარმოადგენს სამეურნეო რგოლს, რომელიც რეალიზებას უკეთებს საკუთარ ინტერესებს, საქონლის ან მომსახურების დამზადებისა და რეალიზაციის მეშვეობით წარმოების ფაქტორების გეგმური კომბინირების გზით“[3].

ახლა განვიხილოთ ფირმა - საწარმო - ორგანიზაცია. ჩვენ დავადგინეთ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი საქმიანობის შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არსებობს, ასევ, მნიშვნელოვანი განსხვავებები მათ საქმიანობასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არსებობს ორგანიზების გარეშე. იგი საზოგადოებრივი სისტემის ერთი ნაწილია. ორგანიზაციის შექმნისა და საქმიანობის პირობას წარმოადგენს საზოგადოებისათვის საჭირო და აუცილებელი მიზნობრივი საქმიანობის შესრულება.

ორგანიზაციაზე, როგორც სოციალურ სისტემაზე, არსებობს მრავალი განსაზღვრა, მათ შორის[4]:

„ორი ან მეტი ადამიანის შეგნებულად კოორდინირებული სისტემა, რომელიც ასრულებს სხვადასხვა საქმიანობას, რათა მიაღწიონ ერთიან მიზანს“ (ჩ. ბერნარდი); „მმართველური გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის სისტემა, სადაც ადამიანები წარმოადგენენ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს“ (ჰ. საიმონი); ,,ოპერირებული და კოორდინირებული საქმიანობის სისტემა, მომცველ გარემოსთან ურთიერთმოქმედებით მაქსიმალური ამონაგებების მიღების მიზნით“ ანდა „შუამავალი ურთიერთქმედებაში ინდივიდსა და გარემოს შორის“ (პ. ლოურენსი, ჯ. ლორში)[5].

ორგანიზაციის საქმიანობა დამოკიდებულია გარემოს პირობებზე. ბაზარი იცვლება სხვადასხვა გავლენების შედეგად, შესაბამისად ხდება ორგანიზაციული ცვლილებები.

ორგანიზაციას ქმნიან ადამიანები, წყვეტენ რა ამით თავისი სიცოცხლის-უნარიანობის ეფექტიანობის პრობლემას. ინდივიდუალური მიზნების მიღწევა უშუალო კავშირშია ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებთან, ამას კი ის საკუთარი ინდივიდუალური თავისუფლების ნაწილის დათმობის ხარჯზე აღწევს (გ. ამყოლაძე). ორგანიზაცია ეს არის პირადი დამოუკიდებლობის გაცვლა მიზნის მიღწევაზე (ბ. მილნერი, რუსი მეცნიერი).

ორგანიზაციის ჩაწვდომა საფუძველს ქმნის მართვის შესასწავლად (ბ. მილნერი, რუსი მეცნიერი).

არსებობს ორი მიდგომა ორგანიზაციის გასაგებად: პირველი განიხილავს ორგანიზაციას როგორც სტრუქტურულ წარმონაქმნს, რომელშიც გაერთიანებულია

---

[2] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, „მაცნე“, 2018.

[3] Общая экономическая теория. Под общей редакцией академика Видяпина В.И. М., Промо-медиа, 1995.

[4] Н.Н. Федорова. Организационная структура управления предприятием. М., Кнорус, 2003.

[5] P.R. Lowrence, I.W. Lorsch. Organization and Environment. Homewood, 1969.

განსაზღვრული რაოდენობის ადამიანი; მეორე განსაზღვრავს მას, როგორც ადამიანების განსაკუთრებული სახის საქმიანობას. სინამდვილეში ორივე გაგება ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან შინაარსობრივად და ავსებს ერთმანეთს.

ორგანიზაცია, როგორც ადამიანების საქმიანობის სახე, მიმართულია ადამიანების, მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების განვითარებაზე იმ სახით, რომ მათი ერთობლივი საქმიანობა ხელს უწყობდეს იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც უნდა გადაჭრას ორგანიზაციამ.

ორგანიზაცია არის ადამიანების მიზნობრივი ერთობა, რომელთა საქმიამობა ინტეგრირებულია და შესაბამისად მოწესრიგებული განსაზღვრული სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად.

საინტერესოა დიდი ამერიკელი მეცნიერის, ალფრედ მარშალის ცნება ორგანიზაციის შესახებ: „ორგანიზაცია - ესაა საფუძველი, რომელიც უზრუნველ-ყოფს რთული ეკონომიკური ორგანიზმების ერთიანობას, ბიოლოგიური მეცნიერების ანალოგიის მიხედვით და აუცილებელია მათთვის დიფერენციაციისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით. ეკონომიკაში ორგანიზაციის ამ საფუძველს აქვს ზუსტი გამოხატვა - შრომის დანაწილება, რამდენადაც ეს ნიშნავს სპეციალიზებული ფუნქციის გამოყოფას“.

ნობელის პრემიის ლაურეატი, რონალდ კოუზი (ამერიკელი მეცნიერი) განსაზღვრავს ორგანიზაციას როგორც „ადამიანთა ჯგუფს, შეგნებულად გაერთიანებულს, რომ მოახდინოს ჯგუფის ინტერესების რეალიზაცია“.

სამართლებრივი ფორმების შერჩევისას საჭირო ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება. შერჩეულ ფირმას ექნება ორგანიზაციის სახე, მისი სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები და სხვა ელემენტები და სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მოქმედი ფირმის (საწარმოს) ორგანიზაციით ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის უნდა ჰქონდეს:

- განსაზღვრული საქმიანობის საზღვრები;
- განსაზღვრული საჭირო და აუცილებელი რესურსების ჯამური პოტენციალი;
- არსებული ჯამური რესურსები იძლევა მიზნების ჩამოყალიბებისა და მის საფუძველზე საქმიანობის დაგეგმვის საშუალებას;
- პერსონალი და მმართველობა ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფს ორგანიზაციის (ფირმის, საწარმოს) თითოეული ქვედანაყოფის (ელემენტის) დაქვემდებარებას საქმიანობის მიზნების შესასრულებლად;
- დამუშავებული გეგმის (ბიზნეს-გეგმის) შესაბამისად, დადგინდება მიზნობრივი ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური და საქმიანი ურთიერთობები მომცველ გარემოსთან და ფირმის (ორგანიზაციის) ქვედანაყოფებს შორის;
- სამედიცინო მომსახურების ბაზარზე საქმიანობის მიზნიდან და გეგმის შესაბამისად იქმნება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, იერარქიული შინაარსით, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, პერსონალისა და მმარვთელობის კოორდინირებული საქმიანობისა და ქვედანაყოფებს შორის მოქნილი კავშირების დამყარების მიზნით;

- ეფექტიანად უნდა მოქმედებდეს საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზების, კონტროლისა და მოტივაციის სისტემა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ფირმა, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს, გააჩნია საკუთრება და იყენებს მას თავისი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის. ფირმას თავისი ქონებისა და საკუთრების საფუძველზე გააჩნია ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხოლო იურიდიული კი - ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ფირმის საქმიანობის ეფექტიანობა უშუალოდაა დაკავშირებული ფირმის მზადყოფნაზე უწყვეტად წარმართოს საქმიანობა ბაზრის (სამედიცინო მომსახურების ბაზრის) მუდმივად ცვალებად პირობებში ადაპტაციის გზით და დროულად, საიმედოდ და გარანტირებულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის ყველა მოთხოვნა ხარისხიანად და მისაღებ ფასებში.

ამხანაგობა - როგორც აღვნიშნეთ, ფირმის (კომპანიის) სინონიმს საწარმოსთან და ორგანიზაციასთან ერთად წარმოადგენს ამხანაგობა (პარტნიორობა).

პარტნიორობა (ამხანაგობა) ესაა ნებაყოფლობითი, კანონის შესაბამისად ორი ან მეტი პირის მიერ დარეგისტრირებული ორგანიზაცია ბიზნესის წარმართვის მიზნით. საქმიანობის განვითარების საფუძველზე პარტნიორები ხდებიან ერთობლივი საზიარო საკუთრების თანამფლობელები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით პარტნიორობის (ამხანაგობის) სახედ მიღებულია სოლიდარული პასუხისმგებლობის და კომანდიტური საზოგადოებები.

ამხანაგობას, როგორც ბიზნესის ორგანიზების ერთ-ერთ სახეს, გააჩნია რამდენიმე ყურადსაღები თვისება, მათ შორისაა:

- სირთულე - მსგავსია ინდივიდუალური საწარმოსი, მაგრამ გამოცდილების მიხედვით აუცილებლობას წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმება;

- კაპიტალის ფორმირება - გააჩნია კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა;

- პასუხისმგებლობა - თითოეული პარტნიორი პასუხისმგებელია ყველა საქმიან ვალდებულებაზე;

- კონტროლი - პარტნიორობის ძალაუფლება მითითებული უნდა იყოს ხელ-შეკრულებაში;

- ხანგრძლივობა - პარტნიორობა გრძელდება საქმეზე ინტერესის არსებობის დროს.

საქართველოში ამხანაგობის (პარტნიორობის) ორგანიზაციული ფორმა ნაკლებადაა გავრცელებული.

ფირმათა სახეები

ფირმები (კომპანია, საწარმო, ორგანიზაცია, ამხანაგობა) თავისი სახელწოდებით ემსგავსება ერთმანეთს და, როგორც აღვნიშნეთ, გამოირჩევიან თავიანთი საქმიანობის შინაარსითა და დანიშნულებით. ფირმების მიკუთვნება ხდება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- საკუთრების მიხედვით. ფირმები საკუთრების მიხედვით იყოფა სახელმწიფო (მუნიციპალური), კერძო და შერეულ (სახელმწიფო-კერძო) ფირმებად. მაგ., რესპუბლიკური საავადმყოფოს საკუთრების 100% ეკუთვნის სახელმწიფოს; სტომატოლოგიური კლინიკა „უნივერსიტეტ გეომედის“ საკუთრების 100% ეკუთვნის უნივერსიტეტის დამფუძნებელს.

ელექტროენერგიის გამანაწილებელი ენერგოკომპანიის სააქციონერო საზოგადოების საკუთრების 25% ეკუთვნის თბილისის მერიას, დანარჩენი 75% კი რუსულ ენერგოკომპანიას და ა.შ.

- დარგებზე მიკუთვნების მიხედვით. დარგი ესაა ფირმების (ორგანიზაციათა და საწარმოთა) ერთობლიობა, რომელიც აწარმოებს ერთი ან რამდენიმე სახის ეკონომიკური დანიშნულების პროდუქციას ანდა ეწევა მომსახურების სხვადასხვა სახეს, იყენებს ამ საქმიანობისათვის თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, მომზადებულ კვალიფიციურ, გამოცდილების მქონე სპეციალისტებს.

მაგ., ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სამედიცინო მომსახურების ობიექტები სხვადასხვა საავადმყოფოებში, კლინიკებში, ამბულატორიები და სხვა.

- ზომებისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილ დასაქმებულთა რაოდენობა დადგენილია შემდეგი სიდიდით: ,,მცირე 20-მდე, საშუალო 100-მდე და დიდი 100-ზე მეტი თანამშრომელი“.

გვსურს შევეხოთ მცირე სიდიდის ფირმებს - მცირე საწარმოებს, რომლებიც ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილებს, მათ შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის არეალში მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი. ისინი საქმიანობენ ისეთი მიმართულებებით, სადაც დიდ ფირმებს საქმიამობა არა მარტო არ შეუძლიათ, არამედ მათთვის ის არაა მომგებიანი. ცნობილია, რომ მსხვილ ფირმას სურს უფრო ვრცლად გაავრცელოს თავისი გავლენა და, შესაბამისად, მიიღოს დიდი მოგება. საქართველოს მთავრობას შექმნილი აქვს მცირე ფირმების მხარდასაჭერად რამდენიმე პროექტი: „აწარმოე საქართველოში“, თანადაფინანსების ფონდი და სხვა, რათა უფრო განვითარდნენ მცირე ფირმები და მიაღწიონ მეტ წარმატებას.

საინტერესოა, რომ დიდი-მსხვილი ფირმები ეფექტიანად საქმიანობენ მცირე ფირმებთან, განსაკუთრებით ეს ეხება ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვას, ახალი საქონლის წარმოებასა და ახალი მომსახურების გაწევას.

მაგ., ჯანდაცვის სისტემაში ეფექტიანად მოქმედებს პჯდ - პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები: სოფლის ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები და რგოლები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები და სხვა.

მცირე ფირმების განვითარება შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით, მათ შორისაა შემდეგი:

- საქმიანობა გააგრძელოს დიდ ფირმასთან, მასთან შეერთების შედეგად;
- ერთობლივად დიდ ფირმასთან ურთიერთსარგებლიანი საქმიანობის წარმართვა ხელშეკრულების საფუძველზე;

- მოხმარებული ნედლეულის მიხედვით ისინი იყოფა მომმარაგებელი და გადამამუშავებელი დარგების ფორმებად;

- წლის განმავლობაში მუშაობის დროის მიხედვით: წლის დროების მიხედვით, წლის განმავლობაში მუშაობის დროის გათვალისწინებით;

- სპეციალიზაციის მიხედვით. ფირმები აწარმოებენ განსაზღვრული სახის პროდუქციას, მაგ., ხაჭაპურის, ნამცხვრისა და ა.შ. უნივერსალური წარმოება - ხდება სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქციის წარმოება, შერეული - სპეციალიზებულსა და უნივერსალურს შორის, მაგ., ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მოქმედი მრავალპროფილური საავადმყოფოები, სპეციალიზებული: თვალის, კარდიოლოგიური, ონკოლოგიური, ტუბერკულოზისა და სხვა სამკურნალო ობიექტები.

ფირმების (საწარმოთა) გაერთიანებები

გაერთიანება თვითონ წარმოადგენს ფირმას, რომლის შემადგენლობაში შედის როგორც პროდუქციის მწარმოებლები, ასევე შერეული სახის ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებლები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთ გაერთიანებებს კორპორაციული სახის ფირმებს უწოდებენ.

საქმიანობის ორგანიზების კორპორაციული ფორმა შეიძლება წარმო-ადგენდეს თვით ფირმას, ფირმის ზემდგომ ან ინტეგრირებულ სტრუქტურას. მათ მიეკუთვნება:

- **ტრესტი (ნდობა).** ამ დროს არსებობს მართვის ძლიერი ცენტრალიზაცია და ტრესტის წევრებს დაკარგული აქვთ კომერციული და ტექნიკური დამოუკიდებლობა;

- **სინდიკატი (ერთად მოქმედება).** აქ შემავალ საწარმოებს შენარჩუნებული აქვთ ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობა. მიზანს წარმოადგენს კომერციული საქმიანობის ერთობლივი საქმიანობა.

- **კარტელი.** საწარმოები ინარჩუნებენ საწარმოო და სამეურნეო დამოუკი-დებლობას. ერთმანეთთან ათანხმებენ გასაღების ბაზრებს, ფასებს, მარკეტინგულ საქმიანობას, დაგეგმვის მაჩვენებლებს და ა.შ.

- **კონსორციუმი (თანამონაწილეობა).** ესაა დროებით შექმნილი საწარმოთა გაერთიანება იმ პერიოდში, რაც საჭიროა მიზნის მისაღწევად. ამ დროს ერთობლივად ტარდება დიდი ფინანსური ოპერაციები, მეცნიერებატევად და კაპიტალტევად პროექტებზე დიდი მოგების მიღების მიზნით.

- **კონცერნი.** იქმნება საწარმოთა ინტერესების გაერთიანების მიზნით. ახდენს კონცერნის წევრების უფლებების დელეგირებას კონცერნის მართვის ორგანოზე, ატარებს ერთიან ეკონომიკურ პოლიტიკას.

- **კონგლომერატი.** სხვადასხვა დარგის საწარმოთა გაერთიანება. იქმნება მრავალრიცხოვანი საწარმოების მიერთებითა და შთანთქმის გზით, რომლებსაც ერთმანეთთან არ გააჩნიათ რაიმე ფუნქციური კავშირები. მიზანი - მოგების გაზრდა.

- **ასოციაცია.** საერთო ინტერესების საფუძველზე ადამიანების, ფირმების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ნებაყოფლობით შექმნილი გაერთიანებები. ესაა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მისი მიზანი არაა მოგების მიღება.

- **სტრატეგიული ალიანსი.** დამოუკიდებელი ფირმების შეთანხმების კოოპერაციაზე განსაზღვრული კომერციული მიზნების მისაღწევად. იგი არაა იურიდიული პირი, ამიტომ მის წევრებს შეუძლიათ გაწევრიანდნენ სხვა ალიანსებშიც.

- **ბიზნესის ჰოლდინგური ფორმები (ფლობა).** ჰოლდინგი სპეციალიზებულია სხვა კომპანიებში პირდაპირ ინვესტიციებზე და ღებულობს შემოსავალს დივიდენდის, პროცენტების, როიალტის სახით. ჰოლდინგური კომპანიები იყოფა ჩვეულებრივ და ფინანსურ ჰოლდინგებად. ამის გარდა, არსებობს სააქციონერო ჰოლდინგური კომპანია,

მართვის საქმეში ჰოლდინგური კომპანია, საპატენტო და სალიცენზიო ჰოლდინგური კომპანია, საბანკო ჰოლდინგი, რომლის შემადგენლობაში შედის შემდეგი დამოუკიდებელი სტრუქტურები: ბანკები, საფინანსო, ფაქტორული, საინვესტიციო, ტრასტული, სადაზღვევო, იპოთეკური, სალიზინგო კომპანიები.

- **საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი.** ესაა იურიდიულ პირთა ერთობლიობა, რომელიც მოქმედებს როგორც ძირითადი და შვილობილი საზოგადოებები, რომლებმაც ნაწილობრივ ან მთლიანად გააერთიანეს თავისი აქტივები ტექნოლოგიური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, საინვესტიციო და სხვა პროგრამების რეალიზაციისათვის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საქონლისა და მომსახურების ბაზრების გაფართოებისათვის, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

- **ბიზნესის ოფშორული ფორმები:**

სიტყვა „ოფშორი“ ნიშნავს „სანაპიროს გარეთ“, „საზღვაო საზღვრის გარეთ“, „საოკეანო“, „სხვა ქვეყნებში განხორციელებული“. ოფშორული საქმიანობა ფირმების რომელიმე ქვეყნის იურისდიქციის გარეთ მიმდინარეობს.

ოფშორული ზონა - ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომლის კანონ-მდებლობის შესაბამისად ხდება ოფშორული კომპანიების საქმიანობის რეგისტრაცია და ფუნქციონირება. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ნიდერლანდები, შვეიცარია, კვიპროსი, ნაურუ, ვანუატუ, დასავლეთ სამოა, ლუქსემბურგი და ა.შ.

ოფშორულ კომპანიას (ფირმას) გააჩნია სხვადასხვა ნიშნები:

- დამფუძნებელი უნდა იყოს სხვა ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი;

- კომპანია თავისუფალია გადასახადებისაგან, რადგანაც გააჩნია არარეზი-დენტის სტატუსი და არ ეწევა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკურ საქმიანობას;

- კომპანიას არ აქვს უფლება წარმართოს კომერციული საქმიანობა იმ ქვეყანაში, სადაცაა რეგისტრირებული და ვერ დადებს ხელშეკრულებას ადგილობრივ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

- ოფშორული კომპანიები გათავისუფლებული არიან გადასახადებისაგან და იხდიან დაბალ პროცენტს ანდა ფიქსირებულ განაკვეთს.

ოფშორული კომპანიების საქმიანობას გააჩნია მეტად გავრცელებული მიმართულებები:

- სავაჭრო-საშუამავლო ოფშორული კომპანიები;
- უძრავი ქონებით ვაჭრობის კომპანიები;
- ხომალდის ოფშორული კომპანია;
- დაზღვევის ოფშორული ფირმები.

ოფშორული პრივილეგიები წარმოადგენს ქვეყნებს შორის კონკურენციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას თავის ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად;

- კომბინატი. ესაა გაერთიანება, რომელიც ერთ საწარმოში აერთიანებს ისეთ წარმოებებს, რომლებიც სხვადასხვა დარგებს მიეკუთვნება;

- ფრანჩაიზინგი. ესაა კომერციული ურთიერთსარგებლიანი შეთანხმება სავაჭრო მარკის, სავაჭრო სახელწოდების ანდა საავტორო უფლების შესაქმნელად. მესაკუთრესა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლებას აძლევს გამოიყენოს თავისი საკუთრება განსაზღვრული შეთანხმებული პირობების შესრულებით, მათ შორის პატენტზე გადასახადისა. იმ ფირმას, რომელიც უფლებას იძლევა მისი საკუთრების გამოყენებაზე, ეწოდება ფრანჩაიზერი, ხოლო ის ფირმა, რომელიც იძენს ამ საკუთრებას ან იღებს საარენდოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ეწოდება ფრანჩაიზი. ორივე მხარე თავის საქმიანობას წარმართავს როგორც დამოუკიდებელი ფირმები.

ფრანჩაიზინგული ფირმების პოპულარობა განისაზღვრება იმით, რომ ამ საქმიანობით ხდება დიდი და მცირე ბიზნესის უპირატესობათა გამოკვეთა. როგორც წესი, დიდ ფირმას ყოველთვის აქვს გასაღების პრობლემები და მწარმოებელი ფირმა გადასცემს მცირე ფირმას გასაღების ფუნქციას. ამ შემთხვევაში მცირე ფირმა ღებულობს მრავალ დახმარებას, მათ შორის: იგი მარაგდება მასალებით, სხვადასხვა პროდუქტებით, სავაჭრო მარკით, მარკეტინგის სტრატეგიითა და გამოცდილებით, ხარისხის კონტროლითა და სხვა.

ფრანჩაიზინგმა თავისი გამოყენება და განვითარება ჰპოვა შემდეგ ბიზნესში: რესტორნები, სასტუმროები, მოძრავი ქონებით ვაჭრობის სააგენტოები, სწავლების სტუდიები, მომსახურების სფერო და სხვა.

ფირმები, რომლებიც შეიქმნენ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

საქართველოში მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად:

- ინდივიდუალური საწარმო;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციონერო საზოგადოება (სს)
- კოოპერატივი.

სალიზინგო კომპანიები იქმნება ტექნიკის, მანქანა-მოწყობილობების, ტექნოლოგიების ვადიანი ხელშეკრულებით გაფორმების საფუძველზე, საქმიანობას აგრძელებს დამოუკიდებლად თავისი ინტერესების მიხედვით. იჯარის გამცემს უხდის ლიზინგის ფასს, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: საამორტიზაციო ანარიცხები, რესურსებზე გადასახადები, სალიზინგო მარჟა, რომლის სიდიდეა ლიზინგის ამღების შემოსავლების 1-3%. იჯარის გამცემი ინარჩუნებს მესაკუთრის უფლებას საკუთრებაზე.

ლიზინგის ძირითადი ფორმებია: საფინანსო ლიზინგი, გენერალური ლიზინგი, ოპერატიული ლიზინგი, მოკლევადიანი - რენტინგი (ვადით 1 წლამდე), საშუალოვადიანი - ჰაირინგი (1-3 წლამდე), გრძელვადიანი - ლიზინგი (3-20 წლამდე და უფრო ხანგრძლივად) და ა.შ.

საოჯახო ბიზნესის ფორმები

თავისუფალი ბაზრის პირობებში საშუალება ეძლევა ნებისმიერ ოჯახს, პიროვნებას, ერთი პირის მიერ შექმნილ საწარმოს თუ კომპანიას წამოიწყოს, განავითაროს და რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეას: აწარმოოს ის საქონელი ან გასწიოს მომსახურება, რის შექმნასა და წარმოებაზე ძალისხმევის გაწევა შეუძლია მას (მათ).

საოჯახო ბიზნესის ფორმები მრავალფეროვანია. იგი წარმოადგენს ქვეყნის ბაზრის შემადგენელ ნაწილს და მისი მეშვეობით ხდება მრავალი რესურსის მიწოდება: მის მიერ წარმოებულ ნედლეულს აწვდის ბიზნეს-კომპანიებს, პერსონალს, ანუ მუშახელს აწვდის სახელმწიფო დაწესებულებებს და ბიზნეს-კომპანიებს; ინტელექტუალურ საკუთრებას იყენებს თავისი ინტერესების მიხედვით, კერძოდ, გავრცელებულია სხვადასხვა ექსპერტების, მთარგმნელების, კონსულტანტების, მრჩევლების, მწვრთნელების, მასწავლებლებისა, ოჯახის ექიმის და სხვა სახის საქმიანობა.

საოჯახო ბიზნესის ფირმების ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო ინტერნეტის, კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ფაქსი-სკანერის ეფექტიანად გამოყენებამ.

საოჯახო ბიზნესის ფირმის ამონაგებს ზრდის შემდეგი პირობები:

- ანაზღაურება, როგორც ასეთი არ იყოს პერსონიფიცირებული;

- დანახარჯები, მათ შორის შეცდომის საფუძველზე, ასევე ზარალი შეიძლება დაყოფილი იქნას ოჯახის ფირმის წევრებზე;

- რაც მთავარია, მოცდენა ან გაცდენა სამუშაოს შესრულების პერიოდში განაცდურად არ ითვლება და არ იქვითება;

- რაციონალურია და ოპტიმალურად გამოითვლება მენეჯმენტსა და მარკეტინგულ კვლევებზე გაწეული ხარჯები;

- მმართველური გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებლობაც ოჯახის წევრებზეა განაწილებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. М.С. Мокий. Экономика предприятия. М., 2008.
2. Д.А. Стоунер, Э.Г. Долан. Введение в бизнес. М., 1991.
3. გ. ერქომაიშვილი. „ფირმის ეკონომიკა“, თბილისი, 2013.
4. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე, მ. ჩხენკელი. საწარმოთა ეკონომიკის, სამეწარმეო საქმიანობისა და მარკეტინგის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2006.
5. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე. „სამეწარმეო საქმიანობა“. თბილისი, 2017.
6. მ. ლომსაძე-კუჭავა, ხ. გიორგაძე. „მცირე ბიზნესი“, სტუ, თბილისი, 2018.

ფირმის ეკონომიკა და ეკონომიკური ურთიერთობები

გურამ ამყოლაძე, იოსებ ამყოლაძე

რეზიუმე

ნაშრომში ჩამოთვლილია და დახასიათებულია როგორც საქართველოში მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ყველა ფირმის (კომპანიის) საქმიანობა და შექმნის საფუძველი.

ფირმა-კომპანია-საწარმო-ორგანიზაცია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ელემენტს. მისი მეშვეობით ხდება ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და გაცვლა-განაწილების პროცესის შესრულება, რაც შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების არსებობის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკური საქმიანობა, ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტები, საოჯახო ბიზნესის ფორმები.

Экономика фирмы и экономические отношения

Гурам Амколадзе, Иосеб Амколадзе

Резюме

В статье перечислены и охарактеризованы виды деятельности и основы для создания всех фирм (компаний) организационно-правовой формы, которые широко распространены в Грузии на основе Закона о предпринимателях, а также в других странах мира.

Фирма-компания-предприятие-организация является особым элементом экономического развития страны и экономических отношений. Благодаря этому рыночный спрос-предложение сбалансирован, и осуществляется процесс обмена-распределения, что возможно при наличии произведенной продукции, выполненных работ и предоставленных услуг.

Ключевые слова: рыночная экономика, экономические отношения, эономическая деятельность, субъекты экономической деятельности, формы семейного бизнеса.

Company Economics and Economic Relations

Guram Amkoladze, Ioseb Amkoladze

summary

The article lists and characterizes the types of activities and the basis for the creation of all firms (companies) of the legal form that are widely distributed in Georgia on the basis of the Law on Entrepreneurs, as well as in other countries of the world.

Firm-company-enterprise-organization is a special element of the country's economic development and economic relations. Due to this, the market supply and demand is balanced, and the exchange-distribution process is carried out, which is possible in the presence of manufactured products, work performed and services provided.

Key words: market economy, economic relations, economic activity, subjects of economic activity, forms of family business.